



**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

გარეული იხვი

გარეული იხვი (*Anas platyrhynchos*), ფრინველი ღერღეტისნაირთა რიგისა. მისი სხეულის მასაა 0,8-2 კგ. კარგად ცურავს, სწრაფად დაფრინავს. მამალს აქვს შავი თავი (მომწვანო ბზინვარებით), წაბლისფერი მკერდი, ყვითელი ნისკარტი, ნარინჯისფერი ფეხები; დედალი უფრო სადა შეფერილობისაა. საქართველოში მცირე რაოდენობით ბინადრობს, ბევრია ზამთრობისას. ბუდობს წყალსატევების პირას, იშვიათად ხეებზე და სახლის სახურავებზეც კი (ქ-ებში). იკვებება წყალმცენარეებით, თესლით, უმდაბლესი კიბოსნაირებით, მოლუსკებით. აპრილში დედალი დებს 7-11 კვერცხს, რ-თა ინკუბაცია გრძელდება 26 დღ-ღ. გ. ი შინაური იხვის მრავალნაირი ჭიშის წინაპარია, ძვირფასი სანადირო ობიექტია.

რ. უორდანია
